საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს

2017 წლის 20 ივლისის

დადგენილება №2508

„საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური წოდების – ემერიტუსის მინიჭების
წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი
საბჭოს (სენატი) 2014 წლის 15 ოქტომბრის ერთობლივი
სხდომის №19 დადგენილებაში (ცვლილება შეტანილია
29.10.2014 წ. დადგენილება №1329, 25.07. 2015 წ. დადგენილება №1629,
18.09.2015 წ. დადგენილება №1699) ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 39-ე მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2014 წლის 15 ოქტომბრის ერთობლივი სხდომის №19 დადგენილებით (ცვლილება შეტანილია 29.10.2014 წ. დადგენილება №1329, 25.07.2015 წ. დადგენილება №1629, 18.09.2015 წ. დადგენილება №1699) დამტკიცებულ ემერიტუსის მინიჭების წესში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:
მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„5. ემერიტუსის წოდების მქონე პირისათვის ანაზღაურების მიცემის საკითხს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში წყვეტს აკადემიური საბჭო შემდეგი წესით: უნივერსიტეტის პერსონალისათვის – ემერიტუსის წოდების მინიჭების მომენტისათვის დაკავებული თანამდებობის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, მოწვეული პროფესორი) შესაბამისი სარგოს არანაკლებ 50% და არაუმეტეს 60%-ისა, ხოლო თუ პირი იმავდროულად არის ან იყო აკადემიური საბჭოს ან წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) წევრი, რექტორი, ვიცე - რექტორი, წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) სპიკერი, რექტორის მოადგილე, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი), სამსახურის უფროსი, სამსახურის უფროსის მოადგილე, დეპარტამენტის უფროსი (დამხმარე სტრუქტურული ერთეული), დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, დეკანი, დეკანის მოადგილე ან აკადემიური დეპარტამენტის უფროსი (კათედრის გამგე), ფაკულტეტის გაერთიანებული ლაბორატორიების ხელმძღვანელი, მათ შორის შახტა-ლაბორატორიის, დაკავებული თანამდებობის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, მოწვეული პროფესორი) შესაბამისი არაუმეტეს 80%-ისა. ყველა სხვა შემთხვევაში, – ანაზღაურების ოდენობას განსაზღვრავს აკადემიური საბჭო და ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი).“

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე